საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან ნემსაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	94	100

ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.06.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ვასილ მშვენიერაძე

2025 წლის 27 ივნისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ლევან ნემსაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა.

1.2. „საბჭოს“ 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა - **ლევან ნემსაძე** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი, შეავფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;

„ვ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 20 ქულა;

„ვ“ პროფესიული თვისებები – 15 ქულა;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;

„ი“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია*:

2.1.1. „კანდიდატი“ 45 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006 წელი). სპეციალობით მუშაობს 14 წელია, კერძოდ:

- 2011 წლის იანვარი - 2011 წლის მარტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სექტორის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

- 2011 წლის მარტი - 2012 წლის მარტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სექტორის უფროსი;
- 2012 წლის მარტი - 2013 წლის აპრილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- 2013 წლის აპრილი - 2013 წლის ივლისი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი კონსულტანტის მოვალეობის შემსრულებელი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საორგანიზაციო საკითხებში;
- 2013 წლის ივლისი - 2015 წლის თებერვალი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი კონსულტანტი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საორგანიზაციო საკითხებში;
- 2015 წლის თებერვალი - 2015 წლის მაისი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხარისხის მართვისა და რეფორმების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- 2015 წლის მაისი - 2017 წლის აპრილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხარისხის მართვისა და რეფორმების სამმართველოს უფროსი;
- 2019 წელი - 2020 წელი - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი;
- 2017 წლის აპრილი - 2022 წლის მარტი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი;
- 2022 წლის მარტი - 2022 წლის ოქტომბერი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ხარისხის ჯგუფის უფროსი კონსულტანტი (შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე);
- 2023 წლის იანვარი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ხარისხის ჯგუფის უფროსი კონსულტანტი (შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე);
- 2023 წლის იანვარი - 2023 წლის ოქტომბერი - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი;
- 2023 წლის ოქტომბრიდან - დღემდე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის დამოუკიდებლობას, სამართლიანობას, გულისხმიერებას, ანალიტიკურ აზროვნებას, საქმისადმი სიყვარულს, კორექტულობას, თვითგანვითარების უნარს, კომპეტენტურობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ

თვისებებს. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ საშუალოდ/კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად, ერთ შემთხვევაში რესპონდენტს ერთ-ერთ მახასიათებელში უჭირს შეფასება.

2.1.3. „კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად მის არჩევასთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით. „კანდიდატი" სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ არის/არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი, 309 კვ.მ. ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ურბნისი; მიწის ნაკვეთი, 2951 კვ.მ. (33%) მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხრანი; ავტოფარეხი, 16.73 კვ.მ. ქ.თბილისი; მიწის ნაკვეთი, 2460 კვ.მ. ქარელი, ადმინისტრაციული ერთეული - ურბნისი; ბინა 99,98 კვ.მ. თბილისი; მიწის ნაკვეთი 1000 კვ.მ. დუშეთის რაიონი, სოფელი სამაბურო. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. „კანდიდატს" საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტები უფიქსირდება, დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის" მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. „კანდიდატის" მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

2.1.7. „კანდიდატმა" წარმოადგინა სამართლებრივი ნაშრომი, თემაზე - „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა".

2.1.8. „კანდიდატს" მონაწილეობა აქვს მიღებული ღონისძიებაში (05.04.2016 წელი – 07.04.2016 წელი ბორჯომი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ მიერ ორგანიზებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემის რეფორმის სტრატეგიის შემუშავების სამუშაო შეხვედრა).
2.1.9. „კანდიდატს" 2023 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.10. „კანდიდატი" 2024 წლიდან არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

2.1.11. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.12. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია*:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები თანმიმდევრული და არგუმენტირებული იყო.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის ((სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე) კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად, მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, საერთაშორისო და საკონსტიტუციო სამართლებრივი საკითხების ცოდნა. ამასთან, „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის შეფასების შედეგად,

მიმაჩნია, რომ „კანდიდატს“ სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი და სამართლებრივ საკითხზე ჩამოაყალიბოს კვალიფიციური პოზიცია.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და სათანადო პროფესიული გამოცდილებაც.

4.1.3. „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, მისი მსჯელობა ძირითადად ლოგიკურია.

4.1.4. „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლით „კანდიდატის“ შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს, ასევე, მის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ „კანდიდატი“ არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული.

4.1.5. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობს. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

4.1.6. „კანდიდატს“ წარმოდგენილი აქვს სამართლებრივი ნაშრომი, თემაზე - „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა“. ამასთან მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე შეხვედრებსა და სემინარებში.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ლევან ნემსაძე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 94 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა - 24;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 24;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 19;

„დ“ პროფესიული თვისებები - 14;

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 9;

„ვ“ პროფესიული აქტივობა - 4.

ვასილ მშვენიერაძე